დევიდ ლინჩი საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს განიხილავს

დამატების თარიღი **15:03, 15 ნოემბერი, 2017** **634**

დღეს, " თბილისი მერიოტში" ცნობილი ამერიკელი რეჟისორის, სცენარისტის, მუსიკოსის, პროდიუსერისა და დამოუკიდებელი კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენლის დევიდ ლინჩის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა.

როგორც პრესკონფერენციაზე „დევიდ ლინჩის ფონდი კავკასიის“ პიარ მენეჯერმა ნინა ცაგარელმა განაცხადა, ლინჩი და მისი გუნდი, საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდებიან და თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ ისაუბრებენ. გუნდი შეხვედრებს გამართავს საქართველოს კულტურის მინისტრთან, თბილისის მერთან, პრემიერმინისტრთან, განათლების მინისტრთან. ცაგარელის თქმით, აღნიშნული შეხვედრები უკვე დაგეგმილია.

"დევიდ ლინჩის ვიზიტი განპირობებულია ამა წლის 25 ივლისს დევიდ ლინჩის ფონდის ჩამოყალიბებასთან კავკასიაში, რომელიც მოიცავს სამ ქვეყანას – სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს.

ჩვენი სტუმრები საქართველოში პირველად ჩამოდიან. რამდენიმე მათგანმა საერთოდ არც კი იცოდა სად არის საქართველო, ვინ ვართ ჩვენ და ამიტომ, ჩვენმა ჯგუფმა მათთვის საქართველოს კულტურის, ისტორიის, ტრადიციების გაცნობა გადაწყვიტა.

სტუმრებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა ისაუბრონ ჩვენი მთავრობისა და პარლამენტის მთავარ პირებთან და განიხილონ შესაძლებლობები შესაძლებელ თანამშრომლობაზე კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროში", – აღნიშნავს ნინა ცაგარელი.

ცნობისთვის, დევიდ ლინჩის ფონდი 2005 წელს აშშ-ში თავად დევიდ ლინჩის მიერ დაარსდა. ძირითადი ფილიალები ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და უკრაინაში მუშაობს.

DAVID LYNCH CONSIDERS POSSIBILITIES OF COOPERATION WITH THE GOVERNMENT OF GEORGIA

Today the press-conference was held in "Tbilisi Marriott" which was dedicated to the visit in Georgia of the famous American film director, scriptwriter, musician, producer and one of the most famous representatives of the Independent Cinema.

According to the PR. Manager of David Lynch Foundation Caucasus Nina Tsagareli announced on the press-conference, Lynch and his team members will meet with the representatives of the Government of Georgia within the framework of the visit in Georgia and will discuss the possible cooperation. The delegation will hold meetings with the Minister of Culture of Georgia, City Mayor, Prime Minister, Minister of Education. According to Tsagareli the mentioned meetings have already been scheduled.

"David Lynch's visit was planned on the base of David Lynch Foundation Caucasus office establishment on the 25th of July of 2017, which unifies Georgia, Azerbaijan and Armenia.

Our guests are visiting Georgia for the first time. Some of them didn't even know where is Georgia, who are we, so our team decided to introduce our culture, history and traditions to them.

Our guests will also have a possibility to conduct negotiations with the key persons of our Parliament and Government and discuss cooperation possibilities in culture, education and science", - states Nina Tsagareli.

David Lynch Foundation was founded in USA by David Lynch himself. The main branches are located in USA, Great Britain, France and Ukraine.